საქართველოს იუსტიციის სამინისტრო

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის

49-ე მუხლით გათვალისწინებული

ანგარიში ინფორმაციის თავისუფლების შესახებ

იუსტიციის
სამინისტრო

2023

ზოგადი ინფორმაცია 2

საქართველოს იუსტიციის სამინისტრო 3

სსიპ „საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო“ 5

სსიპ „სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტო“ 7

სსიპ „აღსრულების ეროვნული ბიურო“ 9

სსიპ „დანაშაულის პრევენციის, არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულებისა და პრობაციის ეროვნული სააგენტო“ 11

სსიპ „იუსტიციის სახლი“ 13

სსიპ „საქართველოს ნოტარიუსთა პალატა“ 15

სსიპ „საქართველოს საკანონმდებლო მაცნე“ 17

სსიპ „საქართველოს იუსტიციის სასწავლო ცენტრი“ 19

სსიპ „ციფრული მმართველობის სააგენტო“ 21

სსიპ „საქართველოს ეროვნული არქივი“ 23

სსიპ „მსჯავრდებულთა პროფესიული მომზადებისა და 25

გადამზადების ცენტრი“ 25

სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება – სპეციალური პენიტენციური სამსახური 27

ზოგადი ინფორმაცია

საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სისტემის მასშტაბით პერსონალური მონაცემების დამუშავება და გაცემა ხდება ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსით, „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონით დადგენილ შემთხვევებში და კანონით გათვალისწინებული საფუძვლებით. პერსონალურ მონაცემებზე წვდომა აქვთ მხოლოდ იმ თანამდებობის პირებს, რომლებსაც, მათი სამსახურებრივი საქმიანობიდან გამომდინარე, მინიჭებული აქვთ ამგვარი მონაცემების დამუშავებისა და შეგროვების უფლებამოსილება. პერსონალური მონაცემების უსაფრთხოება უზრუნველყოფილია შესაბამისი ინფორმაციულ-ტექნოლოგიური საშუალებებით, რაც, თავის მხრივ, გამორიცხავს პერსონალურ მონაცემებზე არაუფლებამოსილ პირთა წვდომას.

უნდა აღინიშნოს, რომ ინფორმაციის ხელმისაწვდომობისა და პერსონალური მონაცემების დაცვის სტანდარტის გასაუმჯობესებლად 2023 წელს მიღებული „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული ვალდებულებების შესრულების მიზნით მიმდინარეობდა და გრძელდება აქტიური თანამშრომლობა პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახურთან.

ამასთან, მნიშვნელოვანია, რომ თითქმის ყველა განცხადება შეიცავდა საჯარო ინფორმაციის ერთზე მეტ, ხშირ შემთხვევაში კი – მრავალ მოთხოვნას.

საჯარო ინფორმაციის გაცემაზე უარის თქმის შესახებ გადაწყვეტილების მიღებას საფუძვლად ედებოდა საქართველოს კონსტიტუცია, ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენცია, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი და სხვა ნორმატიული აქტები.

2023 წლის 1 დეკემბრის მდგომარეობით, სამინისტროს სისტემის მასშტაბით წარმოდგენილი საჯარო ინფორმაციის მოთხოვნის 91 პროცენტი დაკმაყოფილებულია.

მონაცემები საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობასთან დაკავშირებით

საქართველოს იუსტიციის სამინისტრო (ცენტრალური აპარატი)

მოთხოვნათა საერთო რაოდენობა

– **316**

მათგან იუსტიციის სამინისტროს კომპეტენცია

– 303

284 – დაკმაყოფილდა

1 – უარი

18 – მიმდინარეობს ინფორმაციის მოძიება/დამუშავება

13 – სზაკ-ის მე-80 მუხლის შესაბამისად, გადაეგზავნა უფლებამოსილ ადმინისტრაციულ ორგანოს/დაუბრუნდა განმცხადებელს



- საანგარიშო პერიოდში საჯარო ინფორმაციაში შესწორების შეტანის თაობაზე საქართველოს იუსტიციის სამინისტროში მოთხოვნა არ შემოსულა.
- საანგარიშო პერიოდში საჯარო ინფორმაციის მოთხოვნით შემოსული განცხადებების განხილვის, მოთხოვნების დაკმაყოფილების და დაკმაყოფილებაზე უარის თქმის შესახებ საჯარო ინფორმაციის გაცემას უზრუნველყოფდა ადმინისტრაცია (დეპარტამენტი) – საჯარო ინფორმაციის გაცემის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელი პირი სალომე რთველაძე;
- საქართველოს იუსტიციის სამინისტროს თანამშრომლების მხრიდან საანგარიშო პერიოდში შემოსული საჯარო ინფორმაციის მოთხოვნებთან დაკავშირებით არ გამოვლენილა საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის III თავის მოთხოვნათა დარღვევისა და ამ საფუძვლით პასუხისმგებელ პირზე დისციპლინური სახდელების დადების ფაქტები;
- საქართველოს იუსტიციის სამინისტროში საანგარიშო პერიოდში საჯარო ინფორმაციის გაცემის საკითხთან დაკავშირებით დაფიქსირდა გასაჩივრების 1 შემთხვევა. სამართალწარმოების წესით გასაჩივრებულია საჯარო ინფორმაციის გაცემაზე პასუხისმგებელი პირის წერილი, რომლითაც მოთხოვნილი საჯარო ინფორმაცია იუსტიციის სამინისტროს კომპეტენციის ფარგლებში სრულად არის გაცემული. შესაბამისად, საქართველოს იუსტიციის სამინისტრო არ ეთანხმება წარმოდგენილ სასარჩელო მოთხოვნას. დავა განხილვის პროცესშია;
- საანგარიშო პერიოდში შემოსული საჯარო ინფორმაციის მოთხოვნებთან მიმართებით სამინისტროს მიერ ინფორმაციის გაცემის, აგრეთვე, საჯარო ინფორმაციის გაცემაზე უარის თქმის შესახებ მიღებული გადაწყვეტილების გასაჩივრებასთან დაკავშირებით არ წარმოშობილა ხარჯები და ადგილი არ ჰქონია სამინისტროსათვის მხარის სასარგებლოდ გადასახდელი თანხის დაკისრებას.

მონაცემები საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობასთან დაკავშირებით

სსიპ „საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო“

მოთხოვნათა საერთო რაოდენობა – 325

282 – დაკმაყოფილდა

7 – უარი მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე

36 – მიმდინარეობს ინფორმაციის მოძიება/დამუშავება



- საანგარიშო პერიოდში საჯარო ინფორმაციაში შესწორების შეტანის თაობაზე სსიპ „საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში“ მოთხოვნა არ შესულა;
- საანგარიშო პერიოდში სსიპ „საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს“ საჯარო ინფორმაციის გაცემაზე პასუხისმგებელი პირები იყვნენ: იურიდიული დეპარტამენტის ადმინისტრაციული წარმოების სამსახურის უფროსი ირინა ქაროსანიძე, მონაცემთა მართვის დეპარტამენტის უფროსი ნინო ჩაკვეტაძე, მონაცემთა მართვის დეპარტამენტის საინფორმაციო სამსახურის უფროსი თათია გაწერელია, მეწარმეთა და იურიდიულ პირთა რეგისტრაციის დეპარტამენტის არასამეწარმეო იურიდიულ პირთა რეგისტრაციის სამსახურის უფროსი მანანა ცინაძე;
- საანგარიშო პერიოდში შემოსულ საჯარო ინფორმაციის მოთხოვნებთან დაკავშირებით თანამშრომლების მხრიდან არ გამოვლენილა საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის III თავის მოთხოვნათა დარღვევისა და ამ საფუძვლით პასუხისმგებელ პირზე დისციპლინური სახდელების დადების ფაქტები;
- საანგარიშო პერიოდში არ დაფიქსირებულა საჯარო ინფორმაციის გაცემაზე უარის თქმის შესახებ მიღებული გადაწყვეტილების გასაჩივრების ფაქტი, არ წარმოშობილა ხარჯები და ადგილი არ ჰქონია მხარის სასარგებლოდ გადასახდელი თანხის დაკისრებას.

მონაცემები საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობასთან დაკავშირებით

სსიპ „სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტო“

მოთხოვნათა საერთო რაოდენობა

– **298**

მათგან სააგენტოს კომპეტენცია

– 294

287 – დაკმაყოფილდა

7 – მიმდინარეობს ინფორმაციის მოძიება/დამუშავება

4 – სზაკ-ის მე-80 მუხლის შესაბამისად, გადაეგზავნა უფლებამოსილ ადმინისტრაციულ ორგანოს



- საანგარიშო პერიოდში საჯარო ინფორმაციაში შესწორების შეტანის თაობაზე სსიპ „სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოში“ მოთხოვნა არ შესულა;
- საჯარო ინფორმაციის მოთხოვნით შემოსული განცხადებების განხილვის, მოთხოვნების დაკმაყოფილების და დაკმაყოფილებაზე უარის თქმის შესახებ საჯარო ინფორმაციის გაცემას უზრუნველყოფდა ადმინისტრაციის (დეპარტამენტი) დირექტორი, საჯარო ინფორმაციის გაცემის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელი პირი თამარ მთავრიშვილი;
- სააგენტოს თანამშრომლების მხრიდან საანგარიშო პერიოდში შემოსული საჯარო ინფორმაციის მოთხოვნებთან დაკავშირებით არ გამოვლენილა საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის III თავის მოთხოვნათა დარღვევისა და ამ საფუძვლით პასუხისმგებელ პირზე დისციპლინური სახდელების დადების ფაქტები;
- საქართველოს იუსტიციის სამინისტროში საანგარიშო პერიოდში არ დაფიქსირებულა საჯარო ინფორმაციის გაცემაზე უარის თქმის შესახებ მიღებული გადაწყვეტილების გასაჩივრების ფაქტი, არ წარმოშობილა ხარჯები და ადგილი არ ჰქონია სააგენტოსთვის მხარის სასარგებლოდ გადასახდელი თანხის დაკისრებას.

მონაცემები საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობასთან დაკავშირებით

სსიპ „აღსრულების ეროვნული ბიურო“

მოთხოვნათა საერთო რაოდენობა

– 39

30 – დაკმაყოფილდა

4 – უარი

5 – მიმდინარეობს ინფორმაციის მოძიება/დამუშავება



- საანგარიშო პერიოდში საჯარო ინფორმაციაში შესწორების შეტანის თაობაზე სსიპ „აღსრულების ეროვნულ ბიუროში“ მოთხოვნა არ შესულა;
- საანგარიშო პერიოდში საჯარო ინფორმაციის მოთხოვნით შემოსული განცხადებების განხილვის, მოთხოვნების დაკმაყოფილების და დაკმაყოფილებაზე უარის თქმის შესახებ საჯარო ინფორმაციის გაცემის უზრუნველყოფას ახორციელებდნენ საქმისწარმოების დეპარტამენტის უფროსი, საჯარო ინფორმაციის გაცემის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელი პირი ირინე არახამია და იურიდიული დეპარტამენტის უფროსი იურისტი ანა გოდელაშვილი;
- აღსრულების ეროვნული ბიუროს თანამშრომლების მხრიდან საანგარიშო პერიოდში შემოსულ საჯარო ინფორმაციის მოთხოვნებთან დაკავშირებით არ გამოვლენილა საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის III თავის მოთხოვნათა დარღვევისა და ამ საფუძვლით პასუხისმგებელ პირზე დისციპლინური სახდელების დადების არცერთი ფაქტი;
- საჯარო ინფორმაციის გაცემასთან დაკავშირებით საანგარიშო პერიოდის განმავლობაში შემოსულ განცხადებებთან მიმართებით ადგილი არ ჰქონია გასაჩივრების ფაქტს;
- საანგარიშო პერიოდის განმავლობაში შემოსული საჯარო ინფორმაციის მოთხოვნებთან მიმართებით აღსრულების ეროვნული ბიუროს მიერ საჯარო ინფორმაციის გაცემაზე უარის თქმის შესახებ მიღებული გადაწყვეტილების გასაჩივრებასთან დაკავშირებით არ წარმოშობილა ხარჯები და ადგილი არ ჰქონია მხარის სასარგებლოდ გადასახდელი თანხის დაკისრებას.

მონაცემები საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობასთან დაკავშირებით

სსიპ „დანაშაულის პრევენციის, არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულებისა და პრობაციის ეროვნული სააგენტო“

მოთხოვნათა საერთო რაოდენობა

– 19

16 – დაკმაყოფილდა

3 – მიმდინარეობს ინფორმაციის მოძიება/დამუშავება



- საჯარო ინფორმაციაში შესწორების შეტანის მოთხოვნა „დანაშაულის პრევენციის, არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულებისა და პრობაციის ეროვნულ სააგენტოში“ არ შესულა;
- საანგარიშო პერიოდის განმავლობაში საჯარო ინფორმაციის მოთხოვნით შემოსული განცხადებების განხილვისა და მოთხოვნების დაკმაყოფილების შესახებ საჯარო ინფორმაცის გაცემის უზრუნველყოფას ახორციელებდა ადმინისტრაციული დეპარტამენტის უფროსი ვრანგელი ცეცხლაძე;
- საანგარიშო პერიოდში არ დაფიქსირებულა საჯარო ინფორმაციის გაცემაზე უარის თქმის შესახებ მიღებული გადაწყვეტილების გასაჩივრების ფაქტი;
- საანგარიშო პერიოდის განმავლობაში შემოსული საჯარო ინფორმაციის მოთხოვნებთან მიმართებით სააგენტოს მიერ ინფორმაციის დამუშავებასა და გაცემასთან დაკავშირებით მიღებული არცერთი გადაწყვეტილება სასამართლო და ადმინისტრაციული წესით არ გასაჩივრებულა. ასევე, არ წარმოშობილა ხარჯები და ადგილი არ ჰქონია სააგენტოსათვის მხარის სასარგებლოდ გადასახდელი თანხის დაკისრებას.

მონაცემები საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობასთან დაკავშირებით

სსიპ „იუსტიციის სახლი“

მოთხოვნათა საერთო რაოდენობა

– **18**

მათგან უწყების კომპეტენცია

– **6**

5 – დაკმაყოფილდა

1 – მიმდინარეობს ინფორმაციის მოძიება/დამუშავება

12 – სზაკ-ის მე-80 მუხლის შესაბამისად, გადაეგზავნა უფლებამოსილ ადმინისტრაციულ ორგანოს



- საჯარო ინფორმაციაში შესწორების შეტანის მოთხოვნა სსიპ „იუსტიციის სახლში“ არ შესულა;
- საანგარიშო პერიოდის განმავლობაში იუსტიციის სახლში შემოსული განცხადებები განიხილა და შესაბამისი გადაწყვეტილებები მიიღო იუსტიციის სახლის იურიდიული დეპარტამენტის მოადგილემ, იუსტიციის სახლის საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელმა პირმა თეა გიუნაშვილმა;
- იუსტიციის სახლის თანამშრომლების მხრიდან საანგარიშო პერიოდის განმავლობაში შემოსულ საჯარო ინფორმაციის მოთხოვნებთან დაკავშირებით არ გამოვლენილა საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის III თავის მოთხოვნათა დარღვევისა და ამ საფუძვლით პასუხისმგებელ პირებზე დისციპლინური სახდელების დადების ფაქტი;
- საანგარიშო პერიოდში საჯარო ინფორმაციის გაცემასთან ან/და გაცემაზე უარის თქმასთან დაკავშირებით იუსტიციის სახლის მიერ მიღებული გადაწყვეტილებები არ გასაჩივრებულა. ამავე პერიოდში იუსტიციის სახლს არ ჰქონია ინფორმაციის დამუშავებასთან, გაცემასა და საჯარო ინფორმაციის გაცემაზე უარის თქმის შესახებ მიღებული გადაწყვეტილების გასაჩივრებასთან დაკავშირებული ხარჯები; აგრეთვე, არ დაჰკისრებია მხარის სასარგებლოდ გადასახდელი თანხა.

მონაცემები საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობასთან დაკავშირებით

სსიპ „საქართველოს ნოტარიუსთა პალატა“

მოთხოვნათა საერთო რაოდენობა

– **18**

მათგან უწყების კომპეტენცია

– 17

15 – დაკმაყოფილდა

2 – მიმდინარეობს ინფორმაციის მოძიება/დამუშავება

1 – სზაკ-ის მე-80 მუხლის შესაბამისად, გადაეგზავნა უფლებამოსილ ადმინისტრაციულ ორგანოს/დაუბრუნდა განმცხადებელს



- საჯარო ინფორმაციაში შესწორების შეტანის მოთხოვნა სსიპ „საქართველოს ნოტარიუსთა პალატაში“ არ შესულა;
- საანგარიშო პერიოდში საჯარო ინფორმაციის მოთხოვნით შემოსული განცხადებების განხილვის, მოთხოვნების დაკმაყოფილების და დაკმაყოფილებაზე უარის თქმის შესახებ საჯარო ინფორმაციის გაცემის უზრუნველყოფას ახორციელებდა საჯარო ინფორმაციის გაცემის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელი პირი, სსიპ „საქართველოს ნოტარიუსთა პალატის“ აღმასრულებელი დირექტორი ინგა ქომეთიანი. 2023 წლის განმავლობაში მის მოვალეობას ასრულებდა მონიტორინგისა და შიდა კონტროლის სამსახურის მთავარი სპეციალისტი ირა ნემსაძე – 2023 წლის 29 აგვისტოდან პირველი სექტემბრის ჩათვლით და 2023 წლის 26 სექტემბრიდან 29 სექტემბრის ჩათვლით;
- თანამშრომლების მხრიდან საანგარიშო პერიოდში შემოსული საჯარო ინფორმაციის მოთხოვნებთან დაკავშირებით არ გამოვლენილა საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის III თავის მოთხოვნათა დარღვევისა და ამ საფუძვლით პასუხისმგებელ პირზე დისციპლინური სახდელების დადების ფაქტები;
- საანგარიშო პერიოდში არ დაფიქსირებულა სასამართლო წესით გასაჩივრების არცერთი შემთხვევა, არ წარმოშობილა ხარჯები და ადგილი არ ჰქონია პალატისათვის მხარის სასარგებლოდ გადასახდელი თანხის დაკისრებას.

მონაცემები საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობასთან დაკავშირებით

სსიპ „საქართველოს საკანონმდებლო მაცნე“

მოთხოვნათა საერთო რაოდენობა – 33

30 – დაკმაყოფილდა

3 – მიმდინარეობს ინფორმაციის მოძიება/დამუშავება



- საანგარიშო პერიოდში საჯარო ინფორმაციაში შესწორების შეტანის თაობაზე სსიპ „საქართველოს საკანონმდებლო მაცნეში“ მოთხოვნა არ შესულა;
- საანგარიშო პერიოდში საჯარო ინფორმაციის მოთხოვნით შემოსული განცხადებების განხილვის, მოთხოვნების დაკმაყოფილების და დაკმაყოფილებაზე უარის თქმის შესახებ საჯარო ინფორმაციის გაცემის უზრუნველყოფას ახორციელებდა სსიპ „საქართველოს საკანონმდებლო მაცნეს“ ადმინისტრაციის დეპარტამენტის მთავარი იურისტი, საჯარო ინფორმაციის გაცემის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელი პირი ლევან ხარაიშვილი;
- „საქართველოს საკანონმდებლო მაცნეს“ თანამშრომლების მხრიდან საანგარიშო პერიოდში შემოსული საჯარო ინფორმაციის მოთხოვნებთან დაკავშირებით არ გამოვლენილა საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის III თავის მოთხოვნათა დარღვევისა და ამ საფუძვლით პასუხისმგებელ პირზე დისციპლინური სახდელების დადების ფაქტები;
- საანგარიშო პერიოდში არ დაფიქსირებულა საჯარო ინფორმაციის გაცემასთან დაკავშირებით სასამართლო წესით გასაჩივრების არცერთი შემთხვევა;
- საანგარიშო პერიოდში შემოსული საჯარო ინფორმაციის მოთხოვნებთან მიმართებით საკანონმდებლო მაცნეში მიერ ინფორმაციის გაცემის, აგრეთვე, საჯარო ინფორმაციის გაცემაზე უარის თქმის შესახებ მიღებული გადაწყვეტილების გასაჩივრებასთან დაკავშირებით არ წარმოშობილა ხარჯები და ადგილი არ ჰქონია საკანონმდებლო მაცნესთვის მხარის სასარგებლოდ გადასახდელი თანხის დაკისრებას.

მონაცემები საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობასთან დაკავშირებით

სსიპ „საქართველოს იუსტიციის სასწავლო ცენტრი“

მოთხოვნათა საერთო რაოდენობა - 9

6 – დაკმაყოფილდა

2 – მიმდინარეობს ინფორმაციის მოძიება/დამუშავება

1 - უარი



- საანგარიშო პერიოდში საჯარო ინფორმაციაში შესწორების შეტანის თაობაზე სსიპ „საქართველოს იუსტიციის სასწავლო ცენტრში“ მოთხოვნა არ შესულა;
- საანგარიშო პერიოდში საჯარო ინფორმაციის მოთხოვნით შემოსული განცხადებების განხილვის, მოთხოვნების დაკმაყოფილების უზრუნველყოფას ახორციელებდა ადმინისტრაციული სამსახურის მთავარი იურისტი, საჯარო ინფორმაციის გაცემის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელი პირი თინათინ ცინარიძე;
- სასწავლო ცენტრის თანამშრომლების მხრიდან საანგარიშო პერიოდში შემოსული საჯარო ინფორმაციის მოთხოვნებთან დაკავშირებით არ გამოვლენილა საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-3 თავის მოთხოვნათა დარღვევისა და ამ საფუძვლით პასუხისმგებელ პირზე დისციპლინური სახდელების დადების ფაქტები;
- სასწავლო ცენტრში საანგარიშო პერიოდში არ დაფიქსირებულა საჯარო ინფორმაციის გაცემასთან დაკავშირებით სასამართლო წესით გასაჩივრების არცერთი შემთხვევა;
- საანგარიშო პერიოდში შემოსული საჯარო ინფორმაციის მოთხოვნებთან მიმართებით სასწავლო ცენტრის მიერ ინფორმაციის გაცემის, აგრეთვე, საჯარო ინფორმაციის გაცემაზე უარის თქმის შესახებ მიღებული გადაწყვეტილების გასაჩივრებასთან დაკავშირებით არ წარმოშობილა ხარჯები და ადგილი არ ჰქონია სასწავლო ცენტრისთვის მხარის სასარგებლოდ გადასახდელი თანხის დაკისრებას.

მონაცემები საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობასთან დაკავშირებით

სსიპ „ციფრული მმართველობის სააგენტო“

მოთხოვნათა საერთო რაოდენობა – 13	**10 – დაკმაყოფილდა**
	3 – მიმდინარეობს ინფორმაციის მოძიება/დამუშავება



- საანგარიშო პერიოდში საჯარო ინფორმაციაში შესწორების შეტანის თაობაზე სსიპ „ციფრული მმართველობის სააგენტოში“ მოთხოვნა არ შესულა;
- საანგარიშო პერიოდში საჯარო ინფორმაციის მოთხოვნით შემოსული განცხადებების განხილვისა და მოთხოვნების დაკმაყოფილების შესახებ საჯარო ინფორმაციის გაცემის უზრუნველყოფას ახორციელებდა ადმინისტრაციის (დეპარტამენტი) უფროსი, საჯარო ინფორმაციის გაცემის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელი პირი თამარ გვენეტაძე;
- სსიპ „ციფრული მმართველობის სააგენტოს“ თანამშრომლების მხრიდან საანგარიშო პერიოდში შემოსული საჯარო ინფორმაციის მოთხოვნებთან დაკავშირებით არ გამოვლენილა საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის III თავის მოთხოვნათა დარღვევისა და ამ საფუძვლით პასუხისმგებელ პირზე დისციპლინური სახდელების დადების ფაქტები;
- საანგარიშო პერიოდის განმავლობაში საჯარო ინფორმაციის მოთხოვნებთან დაკავშირებით სსიპ „ციფრული მმართველობის სააგენტოს“ გადაწყვეტილება არ გასაჩივრებულა. ასევე, სსიპ „ციფრული მმართველობის სააგენტოს“ მიერ ინფორმაციის დამუშავებასა და გაცემასთან დაკავშირებით არ წარმოშობილა ხარჯები.

მონაცემები საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობასთან დაკავშირებით

სსიპ „საქართველოს ეროვნული არქივი“

მოთხოვნათა საერთო რაოდენობა – **5**	**3 – დაკმაყოფილდა**
	2 – მიმდინარეობს ინფორმაციის მოძიება/დამუშავება



- საანგარიშო პერიოდში საჯარო ინფორმაციაში შესწორების შეტანის თაობაზე სსიპ „საქართველოს ეროვნულ არქივში“ მოთხოვნა არ შესულა;
- საჯარო ინფორმაციის გაცემის მოთხოვნით შემოსული განცხადებები განიხილა და შესაბამისი გადაწყვეტილება მიიღო საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელმა პირმა გიორგი სოფრომაძემ;
- სსიპ „საქართველოს ეროვნული არქივის“ თანამშრომლების მხრიდან საანგარიშო პერიოდის განმავლობაში შემოსულ საჯარო ინფორმაციის მოთხოვნებთან დაკავშირებით არ გამოვლენილა საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის III თავის მოთხოვნათა დარღვევისა და ამ საფუძვლით პასუხისმგებელ პირზე დისციპლინური სახდელების დადების ფაქტები;
- 2022 წლის 10 დეკემბრიდან 2023 წლის 10 დეკემბრის ჩათვლით საქართველოს ეროვნულ არქივში საჯარო ინფორმაციის გაცემის საკითხთან დაკავშირებით სასამართლო წესით გასაჩივრდა 1 ფაქტი, რომელზეც ეროვნული არქივის მხრიდან მომზადდა შესაგებელი. სასამართლო სხდომა ჯერ არ გამართულა;
- საქართველოს ეროვნული არქივის მიერ ინფორმაციის გაცემის, აგრეთვე, საჯარო ინფორმაციის გაცემაზე უარის თქმის შესახებ მიღებული გადაწყვეტილების გასაჩივრებასთან დაკავშირებით საანგარიშო პერიოდში არ წარმოშობილა ხარჯები. ამასთან, ადგილი არ ჰქონდა საქართველოს ეროვნული არქივისთვის მხარის სასარგებლოდ გადასახდელი თანხის დაკისრებას.

მონაცემები საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობასთან დაკავშირებით

სსიპ „მსჯავრდებულთა პროფესიული მომზადებისა და

გადამზადების ცენტრი“

მოთხოვნათა საერთო რაოდენობა – 5	**3 – დაკმაყოფილდა**
	2 – მიმდინარეობს ინფორმაციის მოძიება/დამუშავება



- საანგარიშო პერიოდში საჯარო ინფორმაციაში შესწორების შეტანის თაობაზე სსიპ „მსჯავრდებულთა პროფესიული მომზადებისა და გადამზადების ცენტრში“ მოთხოვნა არ შესულა;
- საჯარო ინფორმაციის გაცემის მოთხოვნით შემოსული განცხადებები განიხილა და შესაბამისი გადაწყვეტილება მიიღო საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელმა პირმა ირაკლი სამხარაძემ;
- ცენტრის თანამშრომლების მხრიდან საანგარიშო პერიოდის განმავლობაში არ გამოვლენილა საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის III თავის მოთხოვნათა დარღვევისა და ამ საფუძვლით პასუხისმგებელ პირებზე დისციპლინური სახდელების დადების არცერთი ფაქტი;
- საანგარიშო პერიოდში ადგილი არ ჰქონია საჯარო ინფორმაციის გაცემასთან დაკავშირებით შესაბამისი გადაწყვეტილების გასაჩივრებას, ასევე, არ წარმოშობილა ხარჯები.

მონაცემები საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობასთან დაკავშირებით

სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება – სპეციალური პენიტენციური სამსახური

მოთხოვნათა საერთო რაოდენობა – 37	**23 – დაკმაყოფილდა**
	14 – მიმდინარეობს ინფორმაციის მოძიება/დამუშავება



- საანგარიშო პერიოდში საჯარო ინფორმაციაში შესწორების შეტანის თაობაზე სპეციალურ პენიტენციურ სამსახურში მოთხოვნა არ შესულა;
- საანგარიშო პერიოდში საჯარო ინფორმაციის მოთხოვნით შემოსული განცხადებების განხილვის, მოთხოვნების დაკმაყოფილების და დაკმაყოფილებაზე უარის თქმის შესახებ საჯარო ინფორმაციის გაცემის უზრუნველყოფას ახორციელებდა სპეციალური პენიტენციური სამსახურის ადმინისტრაციული დეპარტამენტის უფროსის მოადგილე ნიკა აბრამიშვილი (საჯარო ინფორმაციის გაცემის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელი პირი);
- სპეციალური პენიტენციური სამსახურის თანამშრომლების მხრიდან საანგარიშო პერიოდში შემოსული საჯარო ინფორმაციის მოთხოვნებთან დაკავშირებით არ გამოვლენილა საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის III თავის მოთხოვნათა დარღვევისა და ამ საფუძვლით პასუხისმგებელ პირზე დისციპლინური სახდელების დადების ფაქტები;
- საანგარიშო პერიოდში არ დაფიქსირებულა საჯარო ინფორმაციის გაცემაზე უარის თქმის შესახებ მიღებული გადაწყვეტილების გასაჩივრების ფაქტი;
- საანგარიშო პერიოდში შემოსული საჯარო ინფორმაციის მოთხოვნებთან მიმართებით სპეციალური პენიტენციური სამსახურის მიერ ინფორმაციის გაცემის, აგრეთვე, საჯარო ინფორმაციის გაცემაზე უარის თქმის შესახებ მიღებული გადაწყვეტილების გასაჩივრებასთან დაკავშირებით არ წარმოშობილა ხარჯები და ადგილი არ ჰქონია სამსახურის მხარის სასარგებლოდ გადასახდელი თანხის დაკისრებას.